დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 მარტის №76 ბრძანებით;

დოკუმენტში ცვლილება განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №178, 2020 წლის 30 დეკემბრის № 374 , 2021 წლის 28 დეკემბრის №15402, 2022 წლის 17 ივნისის №119271 , 2022 წლის 19 ივლისის № 121965, 2022 წლის 21 ნოემბერის №138578, 2023 წლის 1 მაისის №13988 ბრძანებებით

პასუხისმგებლობის გადანაწილებისა
და დელეგირების წესი

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. რექტორი 3

მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით 4

მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით 4

მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით 4

მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პასუხისმგებლობის განაწილებისა და დელეგირების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს ევროპის უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და დელეგირების პრინციპებს.

მუხლი 2. რექტორი

1. რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ვიცე - რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

დ) ფინანსური სამსახური;

ე) ბიბლიოთეკა;

ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მაკეტინგის სამსახური;

თ) სტრატეგიული განვითარებს სამსახური;

ი) იურიდიული სამსახური.

2. რექტორს უშუალოდ ექვემდებარება, აგრეთვე, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები.

3. რექტორის უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, თანამდებობის პირები და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები, საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე;

4. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, რექტორის წარდგინებით, დაწესებულების პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრება უნივევერსიტეტის ერთ- ერთი თანამდებობის პირი.

მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით

1. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია ევროპის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) საგამოცდო ცენტრი;

ბ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;

გ) საქმისწარმოების სამსახური;

დ) შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

ვ) სერვისების სამსახური;

ზ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. სასწავლო პროცსის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორი.

მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია ევროპის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

ბ) უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახური.

2 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით

1. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია ევროპის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი;

ბ) სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრეინინგ ცენტრი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი

ვიცე-რექტორები, მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე, მათ შორის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ვიცე-რექტორების უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან კურატორი ვიცე-რექტორის წინაშე.